მატჩი შედგა ოჩამჩირეში

ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ 2 მარტს ზუგდიდში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ თბილისის „დინამოს“ და სსრ კავშირის მეორე ნაკრების ფეხბურთელები. იმ დღეს ზუგდიდში დიდი თოვლი მოვიდა და აქაურ სტადიონზე მატჩის ჩატარება შეუძლებელი გახდა. ამიტომ მეტოქეები შეთანხმდნენ ეს ამხანაგური შეხვედრა გადაეტანათ ოჩამჩირეში, სადაც კარგი ამინდი იდგა.

თამაშმა საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა და დამთავრდა ფრედ – 0:0.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: სსრ კავშირი მე–2 პროხოროვი, დავიდოვი, ლეშჩუკი, გორბუნოვი, ლოვჩევი, ს. კუზნეცოვი, სოკოლოვსკი, ფიოდოროვი, ნაზარენკი, სახაროვი, „კაზაჩონოკი (კოვალიოვი). დინამო–გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ესებუა, ყიფიანი, ჩელებაძე.

თამაშს სჯიდა მოსკოველი ჟ. შკლოვსკი.

„ლელო“, 4 მარტი 1976 წ.